საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

მზღვეველის დასახელება	სს „გრინ დაზღვევა საქართველო“		
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	ავტომობილის დაზღვევა	მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა

დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	ავტომობილის დაზღვევის პირობების მე-2-ე მუხლით გათვალისწინებული რისკები: 2.1.1. ავტოსაგზაო შემთხვევა (ავარია) 2.1.2. ქურდობა /ძარცვა /ყაჩაღობა; 2.1.2.1. ნაწილობრივი ქურდობა; 2.1.3. ხანძარი / აფეთქება; 2.1.4. საგნების დაცემა; 2.1.5. სტიქიური უბედურებები; 2.1.6. მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი/ვანდალიზმი; 2.2.1. დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციისას მესამე პირის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანი. 2.3.1. დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ან/და მგზავრების გარდაცვალება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მომხდარი, უბედური შემთხვევის დადგომის მომენტიდან თორმეტი თვის განმავლობაში. 2.3.2. დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ან/და მგზავრების შრომისუნარიანობის მუდმივი დაკარგვა 7.1.2. პუნქტით განსაზღვრული მოცეულობით, რომელიც წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევის უშუალო და პირდაპირ შედეგს.
პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	ავტომობილის დაზღვევის პირობების 5.2.7 პუნქტით გათვალისწინებული - ექსპერტიზის ხარჯები; ავტომობილის დაზღვევის პირობების 10.9. პუნქტით გათვალისწინებული - საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები.
ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	ავტომობილის დაზღვევის პირობების 1.21. პუნქტი: სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული არანაზღაურებადი მინიმუმი, პროცენტულად ან ფიქსირებულად განსაზღვრული თანხის ოდენობა, რომლის ანაზღაურებისაგან მზღვეველი თავისუფალია. ფრანშიზა იქვითება ყოველი სადაზღვევო ანაზღაურებისას; ფრანშიზა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში.
დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	ავტომობილის დაზღვევის პირობების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების გამონაკლისებით მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი/არ ანაზღაურებს: 10.1. პირობებსა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე; 10.2. იმ შემთხვევით გამოწვეულ ზარალს, რომელთან დაკავშირებითაც დამზღვევმა მზღვეველს მიაწოდა ყალბი და მცდარი ინფორმაცია; 10.3. დაზიანებაზე, რომელიც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე; 10.4. ზარალზე, რომელიც განიცადა დამზღვევმა იმის გამო, რომ არ იყო შესაძლებელი დაზღვეული ავტომობილის გამოყენება (სხვა ავტომობილის დაქირავების ღირებულების ჩათვლით);

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	10.5. მექანიზმების და ელექტრომოწყობილებების გაფუჭების, მწყობრიდან გამოსვლის, გატეხვის ხარჯებს, ძრავის, სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერ დაზიანებას, გარდა სადაზღვევო შემთხვევის გამო პირდაპირი მექანიკური დაზიანების შემთხვევისა; 10.6. ზარალზე და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის გადატვირთვით (ავტომობილში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას), ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მისი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების შეგნებული დარღვევით გარდა: ა) შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის მარცხენა საბურავ(ებ)ით გადაკვეთისას; ბ) საავტომობილო გზაზე, უფლებამოსილი მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბებისას, არაუმეტეს 20 კმ/სთ-ისა; 10.7. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას; 10.8. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტომობილის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას; 10.9. დაზღვეული ავტომობილის მესაკუთრის ან მძღოლის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის ჯარიმას, ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებს. 10.10. ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯებს, რომელთაც სადაზღვევო შემთხვევამდე ან/და სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე აღენიშნებოდა რაიმე სახის დაზიანება. 10.11. უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის საბურავ(ებ)ზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავ(ებ)თან ერთად დაზიანდა ავტომობილის სხვა ნაწილები. 10.12. ავტომობილის გამოსაბოლქვი სისტემის ნაწილის, "კატალიზატორის" ქურდობის და/ან დაზიანების ხარჯები, მიუხედავად იმისა მასთან ერთად დაზიანდა თუ არა ავტომობილის სხვა ნაწილ(ებ)იც. 10.13. ავტოსაგზაო შემთხვევაზე რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტომობილი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში; 10.14. შემთხვევაზე თუ დაზღვეულ ავტომობილს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი; 10.15. ავტომობილის დაზიანებაზე, თუ იგი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით (გაქირავება, ავტომობილის გამოყენება მგზავრების ან/და ტვირთის ტრანსორტირებისათვის ამგვარი საქმიანობიდან შემოსავლის მიღების მიზნით (ტაქსის მომსახურება) და სხვა), იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ არის მითითებული ავტომობილის დაზღვევის განაცხადი-ანკეტაში და პოლისში; 10.16. შემთხვევებზე ავტომობილის აეროდრომის ან აეროპორტის იმ ტერიტორიაზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად და გადასაადგილებლად, ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისას.

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	10.17. შემთხვევაზე, რომლის დროსაც ავტომობილის მართვისას მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომობილის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); ასევე უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობის ან ისეთ განზრახ ქმედებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას; 10.18. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევაზე ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე; 10.19. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ; 10.20. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით, რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით; 10.21. შემთხვევებზე რომელიც მოყვა ავტომობილის მონაწილეობას ნებისმიერი ხასიათის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში, ისევე როგორც მათთვის მომზადებას; 10.22. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით; 10.23. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველზე დაზიანებაზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის გადაცემაზე ან რეგრესის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით; 10.24. სადაზღვევო შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოყვა ავტომობილის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას ნებისმიერი საშუალებით ტრანსპორტირებისას, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვისას და ბუქსირით გადადგილებისას. 10.25. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი/მესამე პირი დაზიანებული ავტომობილის საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად; 10.26. შემთხვევებზე, რომელთა დადგომის დროსაც დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე -გადაუხდელი აქვს შესაბამისი პერიოდის სადაზღვევო პრემია; 10.27. ქურდობის შემთხვევებზე, თუ ასეთი შემთხვევის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო სატრანსპორტო საშუალებაში; 10.28. გაჩერებული დაზღვეული ავტომობილის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება და ადგილი ექნება ავტომობილის შემთხვევის/დაზიანების ადგილიდან დაძვრას;

დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	10.29. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შემთხვევებს; 10.30. ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები; 10.31. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე, რომელიც არ იქნა განცხადებული და შესაბამისად არ წარმოებს სისხლის სამართლის საქმე/შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. 10.32. ხარჯებს დაკავშირებულს მესამე პირის, ასევე მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან/გარდაცვალებასთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ; 10.33. მესამე პირთა მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დაფარვისათვის მზღვეველი ასევე არ არის პასუხისმგებელი: 10.33.1. ანაზღაურების იმ მოცულობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო გაცემული ავტომობილის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მიუხედავად იმისა, შეძენილია ზემოხსენებული დაზღვევა თუ არა; 10.33.2. წმინდა ფინანსურ ზარალზე, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება /განადგურება; 10.33.3. ნებისმიერი ხასიათის მორალურ ზიანზე.
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების გაგზავნის ფორმა	ავტომობილის დაზღვევის პირობების მე-9 მუხლის მიხედვით დამზღვევი ვალდებულია: 9.1.1. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს პოლისში მითითებულ ტელეფონის ნომერზე და მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: პოლისის ნომერი, დაზღვეულის გვარი, შემთხვევის მოკლე აღწერა, შემთხვევის დრო და ადგილი; 9.1.2. დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, გარდა საქარე მინის და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზიანებისა; 9.1.5. ორი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დამზღვევის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა).
სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები	ავტომობილის დაზღვევის პირობების მე-5 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები და ვადები. 8.1.3. ავტომობილის დაზიანებისას ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების, სადაზღვევო შემთხვევის და დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლების დადგენის, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სადაზღვევო შემთხვევის აქტში (ზარალის დარეგულირების აქტი) განსაზღვრიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის (ზარალის დარეგულირების აქტი) ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, ხოლო ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ ავტომობილი არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში განცხადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. თუ 3 (სამი) თვის განმავლობაში ავტომობილი ნაპოვნი იქნება დაზიანებულ მდგომარეობაში, დაზიანების ხარჯების ანაზღაურება მოხდება დაზღვევის პირობების 5.2. მუხლის (ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში) გათვალისწინებით, გარდა მე-10 მუხლით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.